



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 67

2011 წლის 13 ივნისი

ქალაქი ხაშური

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ხაშურის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანებისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სუბსიდიით გამოყოფილი თანხების ხარჯვის შესახებ

მიმდინარე წლის 25 მაისს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილით მიმართა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ხაშურის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანების“ მმართველმა დიანა გელაშვილმა, რომელიც აღნიშნავს, რომ 2010 წლის 25 ოქტომბერს ერთ-ერთი პროექტის პრეზენტაციისას ბიბლიოთეკამ უზრუნველყო მაღალი რანგის სტუმრებისათვის მიღების მოწყობა, რომლის დანახარჯები, მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით უნდა ასულიყო „საბიბლიოთეკო გაერთიანების“ დაფინანსებაში. მიუხედავად აღნიშნული შეთანხმებისა, მუნიციპალიტეტის მხრიდან არ მომხდარა დამატებით თანხების გამოყოფა, რის გამოც ორგანიზაცია იძულებული გახდა ხარჯვა მოეხდინა ბიბლიოთეკისათვის ამერიკის საელჩოს მიერ გრანტით გამოყოფილი დაფინანსებიდან, რის შესახებაც ასვე ეცნობა გამგეობას.

„საბიბლიოთეკო გაერთიანება“ ითხოვს მიეცეს უფლება ბიუჯეტით, მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, მოახდინოს არსებული ხარჯის აღიარება და დაზუსტება 1100 (ათას ასი) ლარის ოდენობით.

1. დაკმაყოფილდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ხაშურის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანების“ მმართველი დიანა გელაშვილის წერილობითი თხოვნა და ნება დაერთოს 2011 წლის ორგანიზაციისთვის გამოყოფილი სუბსიდიის ფარგლებში დაფაროს არსებული დავალიანება 1100 (ერთი ათას ასი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) მისი ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



[Handwritten signature]

დავით ლომიძე